

1  
1964



ნახ. ზ. შორაჩიძისა

№ 24 თბილისი დამბეზი 1964

**საბჭო**

გამოცემის 42-ე ფილი. ფასი 20 კპპ.

— უფნ სად მიღისებრ?  
 — ჩემი ბაბუა თუ ხარ, პამიოვი, ახალ ფურს უნდა შევ-  
 სვდე!  
 — ჯერ ჩემი ვალი გაისტუმრე.





# სახელმო ბაკათი


ნახ. მ. აბაშიძისა

ნამყარსაის  
მოგონებანი  
სიზლირთევი

ნიანგი მახვილი ჩანგლით მხურვალედ გილოცავთ ახალ წელს მცხეთის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის დეაწლმოსილ მუშაკებს.

ჩემს ელამ თვალებს არ გამოპარვია თქვენი დაუცხრომელი ზრუნვა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის.

ამ ზრუნვით უნდა აიხსნას, რომ არაგვის ქ. № 10-ში სპეციალური სახელოსნოც გაიხსნიათ „რემონტ ტელევიზორისა და რადიოპრიონისა“.



ჩვენ არ ვიცით, თუ როგორ მიმდინარეობს თქვენთან რემონტ ტელევიზორისა და რადიოპრიონისა, ისე კი, როგორც ამ ფოტოდოკუმენტებიდან ჩანს, ფრიად განათლებულ მუშაკებსა მოუყრაათ თავი ამ სახელოსნოში. თიანგა წინადადება აქვს მომავალ წელს მცხეთაში კიდევ ერთი სახელოსნო გაიხსნას ამ უბაღლო ხელოსნების მიერ დამახინჯებული სიტყვების გასარემონტებლად.




— ზარი ვინ დარეკა?  
— თოვლის ბაბუა მოვედიო. მჭადის ფქვილი, ქათმები, გოჭები, ინდაურები, ხაჭაპურები, ფელამუში, ტიკით ღვინო ჩამოვიტანეო.  
— არიქა, ბიჭო, გაუღე, მამაჩემი ჩამოსულა!

ნახ. მ. შირცხალაშაისი

# უსხუნო წასიანის ჩანსაი

ვწერე, ვწერე, რა არ ვწერე, გადავწერე, გაღმოვწერე, მონატორი ცხრად გავწილე, ვის არ ვწერე...  
— მერე, მერე?  
— ვწერდი, ვთხზავდი დღე და ღამე...  
ძველ წელიწადს გადავურჩი, ახალ წელს თუ მიღის რამე?

ბ. გოგიაშვილი



— გული გაქვს აჩქარებული.  
— ახალნაყიდი მანქანა დავტოვე გარეთ.

გორის რაიონის სოფელ ლოშკინეთის მახლობლად შენოს მთის საზაფხულო საძოვრებიდან ვიღაცა სამ მოზრდილ დეკეულს და ორ მოზვერს მიერეკებოდა; თვალს აქეთ-იქით აცეცებდა და ბრაზიანი დეღამთილივით იწყევლებოდა.

არც ტანსაცმელი ეცვა მეძროხეს მწყემსური და არც ფეხსაცმელი, ძაბრით შარვალში თეთრი პერანგი ჰქონდა ჩატანებული და ფეხებსაც შამფურის წვერივით წაწვეტებული მოკასინები უმშვენებდა. ოფლში გახვითქულმა მეძროხემ, სოფელ კეხიჯვრის კოლმეურნეობის ფერმასთან ამოსუნთქვას ცხრასართულიანი გინება ამოაყოლა და თან გაჯავრებული თვალებით გაჩუტებულ მოზვერს გააპკრა სახრე.

— ესეც ხელობაა რა... მწვადი და საშლამა კი მიყვარს, მაგრამ ამათი მოვლა რაღა მოსაგონი იყო?!

მსხვილფეხა საქონლისა და წვრილფეხა მეძროხის დანახვაზე კეხიჯვრელი მწყემსები ფერმიდან გამოიშლნენ და კაკირვებულებმა ხელები გაშალეს.

— ნიკა, ე კაცი გორელი ლევანა არ

რომელი ლევანა?!  
რომელი და უქნარა ლევანა შველოსოვი, გორის პროსპექტები ნაბიჯ-ნაბიჯ რომ აქვს დაზომილი.

— ჰოო... ის უნდა იყო.

— კაცო, ლევან, საით გაგიწევია? მოდი დაისვენე!

— ვერა, ძმებო, მეჩქარება, სოფელ აბისის კოლმეურნეობაში დავიწყე მუშაობა მწყემსად და ახლა დამზადების პუნქტში საქონელი მიმიყვას ჩასაბარებლად, ამ სამგლე მოზვერებმა დამტანჯეს, ლამის მწყემსობისთვის თავი დამანებებინონ. ოჰ, მეტი აღარ შემძლია, ამ ერთს აქ დაგიტოვებთ, შემინახეთ ცოტა ხნით და მერე მე ვიცი და ჩემმა კაცობამ.

— დატოვე, კაცო, თუ მწყემსი მწყემსს გაჭირვებაში არ გამოადგა, ის რაღა მწყემსია.

— იცოცხლეთ, ძმებო, დაგიფასებთ თუ კაცი ვარ. — წაილაპარაკა ლევანმა და გარეკა საქონელი გორისაკენ.

როგორც შემდეგ გამოირკვა, შველოსოვის მოპარული მოზვერი და დეკეულეები ჯიბის ფულად უქცევია, მაგრამ გორის სახალხო სასამართლოს ცოდვანი მისნი ერთ დიდ საქმედ შეუქრავს და სახელად „ნამწყემსარის მოგონებანი“ დაურქმევია.

— ლევანს აღარაფერი დარჩა? — იკითხავს ალბათ ზოგიერთი დაინტერესებული.

— როგორ არა, მოზვერის კული დღესაც ხელში უჭირავს, კომბლესავით აქეთ-იქით იქნევს და ცდილობს ზოგიერთებს შავი თეთრად მოაჩვენოს.

მ. კახელიაშვილი  
პარაზოზი

# სახალწლოდ ბევრი უწვალა და უჯახირია

ეროვნული  
წიგნობის

სახალწლოდ ბევრი უწვალა და უჯახირია საწყალ ქალღალდს, ბოლოს იგი ფურცლებად დალაგებულა, კონვერტებში მოყუჩებულა და საფოსტო ყუთების შემწვობით „ნიანგისაჲს“ გამოქცეულა, ეგებ რამე მეშველოსო, მაგრამ „ნიანგი“ რას უშველის, როცა მთავარი ცოდვა უკვე ჩადენილია, ახლა მხოლოდ განკითხვის ჟამსლა მოელის ცოდვის ჩამდენი. დიახ, ახალი წელი რომ არ დგებოდეს, უფრო მკაცრად მოხვდებოდა ზოგიერთ ავტორს კრიტიკის ხელი მსახვრალი.

მაგრამ ჭობია, ჩვეული ღმობიერებით, აუცრემლებლად გადავიტხოთ ეს ცოდვიანი ფურცლები. ერთ-ერთი ავტორი, რომლის ვინაობას განგებ არ ვამჟღავნებთ, კაცობრიობას სახალწლოდ ასე მიმართავს:

„მისმინოს მთელმა მსოფლიომ,  
მე დავიბადე ახალ წელს,  
აკვანში ხმას არ ვიღებდი,  
სანამ სილა არ გამაწნეს...“

ეტყობა ამ ავტორს თავიდანვე დაბედობა ყოველ ახალ წელს სილის გაწვნა, მხოლოდ ერთი რამე უნდა გაირკვეს, პირველად რა ადგილას გააწნეს მას სილა? ამ ოთხ სტრიქონში იმდენი სიბრძნეა მოგუდული, რომ ეპვი გებადება, მისი დამწერი ეგებ მართლა ღირსია მსოფლიო აღიარებისა.

კაცი ახალ წელს დაბადებულა, არ აღნავლებულა, როგორც ყველა ნორმალური ახალშობილი და, რადგან თავიდან არ იღებდა ხმას, ახლა მოსურვებია მთელ დუნეას გააგონოს თავისი ხავერდოვანი ხმა. მისასალმებელია, მე და ჩემმა ღმერთმა, ნამდვილად მოსაწონია ასეთი სურვილი, მაგრამ ამ ლექსს თუ ლექსითვე არ ვუპასუხებთ, უსახელო ავტორი იფიქრებს, ბურთი და მოედანი მე დამრჩაო, შეიძლება ოქროს მედალიც მოითხოვოს.

სწორედ ამიტომ ვპასუხობთ სხაპასუხებით:


ხელახლა სილაგასაწნელს,  
მაინც გილოცავ ახალ წელს.

ავტორების ვინაობა არ მინდა გამოვამჟღავნო, რადგან სახალწლო სუფრაზე თავის მოჭრას, ჩემის აზრით, მათ ისევ ინკოგნიტოდ ყოფნა უნდა ერჩიოთ.

ერთი ყოფილი ბრიგადირი, რომელიც უქნარობის გამო კოლმეურნეობიდან გაუგდით, ლექსად გვაცნობებს:

„თავმომწონე ბიჭი ვიყავ,  
ვამაყობდი კოლექტივით,  
არ მიყვარდა წიგნის კითხვა,  
ლექსებს ვწერდი ყოველ დღით,  
სახალწლოდ გამომაგდეს...  
ახლა დავალ „პოეტივით“.

კარგია „თავმომწონე ბიჭი“ კოლექტივით რომ ამაყობდით, მაგრამ უკეთესი იქნებოდა კოლექტივს ეამაყა თქვენით. წიგნის კითხვა არ მიყვარდაო. მერე და რატომ? ასე წიგნი მაინც უნდა გქონდეთ წაკითხული, ერთი ლექსი რომ დაწეროთ. ყოველ დღით ლექსებს ვწერდით.



გამოსავალი ნახა

დალოცვილო, ღამით გეწეოთ ლექსები, კოლმეურნეობაში გემშუავათ.

ჰოი, რას არ წაიკითხავს კაცი? აი რას გვეწერს ერთი ხაშურელი ყმაწვილი:

„მინდა ქორივით ცაში ავფირინდე  
და გადმოვხედო მეზობელს შაღლით,  
ლაყვარდში მუდამ მშვიდად ვიქნები,  
არ დამგლეჯს მისი ბომბორა ძაღლი...“

დიხანს თუ შეგიძლიათ ყოფნა ლაყვარდში, სადაც მითითრმა იკაროსმა ცოტა ხანს დაჰყო, შეგიძლიათ მიწას აღარ შეახოთ მოკასინის წვერები, მთელი ქვეყანა აყაყანდება, ეს ვინ ყოფილაო. ანდა სულ უბრალოდ, ძაღლების დამპყერ კანტორას მიაკითხეთ და ძირს შენ იქნები მშვიდად. მაღლა — ზეცა.

ერთი ახალგაზრდა ისეთი გულმოსული გვეწერს, თითქოს რამე ბრალი მიგვიძოდეს მის წინაშე. ბევრი უნდა დავწეროო. არა, თვითონ ავტორს მოგუქსმინოთ და დავრწმუნდებით რა ამოძრავებს მას, რა აწუხებს, გარდა თავის ღიტიინისა.

„მომაველ წლამდე უნდა დავწერო  
ახალ ლექსების ვრცელი ტომები,  
ეგებ ჩემდამი შურით ავავსო  
და გავაოცო ჩემი ტოლები...“

მხოლოდ დიდი აკაკის სახუმარო ლექსით შეიძლება გვეპასუხა ასეთი მუქარისადმი, მაგრამ არ გვინდა კლასიკოსის ნათქვამის სიტყვა-სიტყვით განმეორება. დიდ პოეტს მხოლოდ პირველ და მესამე სტრიქონს დავესესხებთ.

წერეთ, წერეთ, ჩემო ვარდენ...  
ღრო არ დაგეკარგებათ,  
თუ პოეტი არ გამოხვალთ,  
წიგნი ყილეთ პარკებად.

დღეს ყველა ოჯახში გაიშლება სახალწლო სუფრა, ყველა დალოცავს თავის მოყვასს და მონაგარს, ყველას გულს გაუხალისებს ძველი თუ ახალი სიმღერა, ყველა პატიოსანი ადამიანი, პირად წარმატებასთან ერთად, გულწრფელად ისურვებს ჩვენს ქვეყნის უფრო მეტად აყვავებას და გაძლიერებას, ჩვენც გულწრფელად მივესალმებით მკითხველებს:

მრავალ ახალ წელს გილოცავთ,  
თორზე კოცნით, განა ჩხუბით,  
არ გეწყინოთ სახალწლო  
პასუხები სხაპასუხებით.

ბასაანელი

რედაქტორი ნ. შველიძე.

სარედაქციო კოლეგია: ნ. დუმბაძე, ს. კლდიაშვილი,  
ნ. მაღალაშვილი, მ. ქარჩავა, თ. ჯელიძე.

საქ. კმ. ცენტრალური  
კომიტეტის  
გამომცემლობა

თბილისი. სატირისა და იუმორის ეჟრნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Нианги“.  
რედაქციის მისამართი: რუსთაველის პრ. № 42. ტელეფონები: რედაქტორის—9-76-69, საერთო განყოფილების—3-10-49

ხელმოწ. დასაბ. 19/XII-1964 წ. ქალ. ზომა 70x108 18, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 0,5, პირობით ფორმათა რაოდენობა 1, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ. საქ. კმ ცკ გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 3367. უე 12842. ტირაჟი 40000

1965 წლის სენსაციური პროექტის ბაზაზე შევასრულეთ 120%-ით!



**ძველი წელი ახალ წელს**

— ამას არ ენდო, ბიძიკო, მეც ბავშვს მხირდებოდა, მაგრამ ნახევარზე არ გაუკეთებია.



**„საქმის ბიუროს წინაშე ჩვენი პროექტი“**

ამხანაგო რადიოგამგზავნებო, წინაგის რადიოგამგზავნი, ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით, ზოგიერთ წარმოება-დაწესებულებიან და ორგანიზაციის მუშაკებს მოასმენინებს შემდეგ სიმღერებს:

**ფილარმონიის მსახიობებს:**

„მივდივარ, მივყვები და ასე გგონია, ისევ ის ბიჭი ვარ, ხუჭუჭა, კატარა...“

**თბილისში მოსერიანე უმაღლესდამთავრებულ ახალგაზრდებს:**

„თბილისო, გზის და ვარდების მხარეო, უშენოდ სიცოცხლე არ მიწდა...“

**გზატყვევების სამმართველოს მუშაკებს:**

„მიწდა გაკოცო, გაკოცო, შენს სახეს ვხედავ მცინარეს, მაგრამ ვერსაით გადმოვალ ამ სატიანლო მდინარეს.“

**საკურორტო სამმართველოს:**

„ჩემო ჩიტუნია, ჩემო გვრიტუნია, შენთვის მომინდია ეს გული...“

**საქალაქთაუბროსო ბელაფონის სადგურის მუშაკებს:**

„რა ხანია არ მსმენია შენი ხმა...“

**სამისამართო ბიუროს:**

„დაგვიმე და ვერ გკოულვო, მითხარ, სადა ხარ?...“

**სასტუმროს დირექციას:**

„ძმა-ბიჭავში დაჩაბრული მე ვარ სიმონა დოლიძე, ათი წელი შემისრულდა არ მიძინია ლოგინში.“

**საქსოვ-სართავი ფაბრიკების მუშაკებს:**

„მითხარ, მითხარ, გენაცვალე, ვარდო, ფერი რად იცვალე?...“

**თბილისის ატს-ის მუშაკებს:**

„მეც კაცი ვარ, ეგრე რატომ მიყუბობ...“

**ტაქსის მძღოლებს:**

„ახლოს აღარ მიკარები, შორ-შორ დაღიხარ...“

**გასარემონტებელ ავტოგუნებებს და გაუქმებულ მარხრუტებს:**

„დამიბრუნდი, თორემ გული გაცივდა შენს ლოდინში ბევრი ტრემლი დამცვივდა...“

**სამანქანო პარკის მუშაკებს:**

„ოქტომბერში თუ ჩვენს მხარეს ჩაბივლია, შეამჩნევდი მიმოგნულს მინდორ-ველად...“

**ამინდის ბიუროს მუშაკებს:**

„ჩიტი-გვრიტი მოფრინავდა მე შროშანი მეგონაო...“

**არქიტექტორებს:**

„ბიჭო, იმნებ პაპა იყო შენი...“

**თელასის მუშაკებს:**

„დავდივარ დამე გნელადა...“